CAUCASUS NATURE FUND

**ტექნიკური დავალება**
**CNF/2024/GA-GEO**

**ძირითადი ინფორმაცია**

| | |
|---|---|
| **სათაური** | **შერჩეული დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციების მართვის გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სტანდარტიზაციისათვის განტის ცხრილის (Gant Chart) პრაქტიკაში დანერგვა და გაუმჯობესება.** |
| **ადგილმდებარეობა** | დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები |
| **ხანგრძლივობა** | აგვისტო 2024 - მაისი 2025 |
| **კონტრაქტის ტიპი** | საკონსულტაციო მომსახურება/ტექნიკური დახმარება |
| **აპლიკაციის პროცედურა** | სრული სააპლიკაციო პაკეტი უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: recruiting@caucasus-naturefund.org<br>სათაურში უნდა მიეთითოს: „მართვის გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სტანდარტიზაცია (Gant Chart)“. |
| **განაცხადის წარდგენის ვადა** | 20 აგვისტო 2024 |
| **საკონტაქტო ინფორმაცია** (დამატებითი შეკითხვებისთვის) | lkalmakhelidze@caucasus-naturefund.org |

<u>კავკასიის ბუნების ფონდის შესახებ</u>

კავკასიის ბუნების ფონდი (CNF) წარმოადგენს კონსერვაციის სატრასტო ფონდს, რომელიც შეიქმნა 2007 წელს გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) მხარდაჭერითა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW), კონსერვაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (Conservation International) და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი – გერმანიის (WWF Germany) მონაწილეობით.

სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს დაცული ტერიტორიების ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობის მიზნით, გრძელვადიანი დაფინანსების და მართვის გაუმჯობესების უზრუნველყოფით კავკასიის ბუნების ფონდი ხელს უწყობს კავკასიის უნიკალური ფლორის, ფაუნის და ეკოსისტემების კონსერვაციას მომავალი თაობებისთვის და ამავე დროს, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

კავკასიის ბუნების ფონდის მიერ დაცული ტერიტორიების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებას საოპერაციო და საკადრო დანახარჯების შევსებით და შესაძლებლობების გაძლიერებას დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესების მიზნით ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ბრაკონიერობასთან ბრძოლა, ხე-ტყის ჭრა და სხვა უკანონო

CAUCASUS NATURE FUND

ქმედებებზე რეაგირება, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვანი სახეობების და ბუნებრივი ეკოსისტემების მონიტორინგი, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ეკო-ტურიზმისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. https://www.caucasus-naturefund.org/

**განსახორციელებელი პროგრამის აღწერა**

მენეჯმენტის გეგმა დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვან სამუშაო დოკუმენტს წარმოადგენს, რომელზეც დაფუძნებულია ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შედგენა და განხორციელება. მენეჯმენტის გეგმა უნდა იყოს კარგად ჩამოყალიბებული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დაცული ტერიტორიის ძირითად ღირებულებებს, მახასიათებლებს, მიზნებს, ამოცანებს და განსახორციელებელ ქმედებებს, შესაბამისი ინდიკატორებით, რომელიც გაზმოვადობისა და შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

მენეჯმენტის გეგმის შემუშავება და მოქმედება სხვადასხვა ციკლს მოიცავს, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N110 (https://matsne.gov.ge/ka/document/view/2272614?publication=0) ბრძანებითაა განსაზღვრული. მნიშვნელოვანია მენეჯმენტის გეგმის მიზნების და ამოცანების სწორად ფორულირება და შესაბამისი ქმედებების დაგეგმვა. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია აღნიშნული ქმედებების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, რომლის შედეგების გამოყენება და ინტეგრირება უნდა მოხდეს მთავრობის N629 (https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0) დადგნილების მიხედვით შემუშავებულ წლიურ ანგარიშებში. მონიტორინგი მენეჯმენტის გეგმის მოქმედების პერიოდის მუდმივად თანმდევი პროცესია, რაც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ინტერგრირებას დაცული ტერიტორიის მართვაში - ადაპტური მენეჯმენტი.

**პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია შერჩეული დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების (1)ბორჯომ-ხარაგაულის, (2)ლაგოდეხის, (3)თუშეთის, (4)ვაშლოვანის, (5)მტირალას, (6)ჯავახეთის, (7)ალგეთის, (8)ყაზბეგის, (9)კინტრიშის, (10)ფშავ-ხევსურეთის, (11)მაჭახელას, (12)ბაწარა ბაბანეურის დტ და (13)არაგვსა და (14)თუშეთის დაცული ლანდშაფტების თანამშრომელთათვის ტერიტორიულ ადმინისტრაციებში, ინივიდუალური სწავლების ორგანიზება მართვის გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სტანდარტიზებული მეთოდის - ე.წ. განტის ცხრილის (Gant Chart) ეფექტურად გამოყენების, არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისა და მთავრობის N629 დადგენილების მიხედვით წლიურ ანგარიშებში მიღებული შედეგების ინტეგრირება. მიღებული ცოდნა მნიშვნელოვნად განავითარებს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების შესაბამის თანამშრომელთა უნარებს, რაც დადებითად აისახება მართვის ეფექტურობის ზრდაზე და ხელს შეუწყობს დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ეფექტურად გამოიყენოს შიდა რესურსი. შიდა რესურსის გამოყენებით მონიტორინგი და მათი ჩართულობის გაზრდა დადებითად აისახება მენეჯმენტის გეგმის შესრულებაზე, რადგან მენეჯმენტის გეგმა გახდება ყოველდღიური სამუშაო დოკუმენტი.

__შესასრულებელი სამუშაოს მონახაზი__

შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს სამიზნე დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებში ინდივიდუალური პრაქტიკული სწავლება და თითოეულ ადმინისტრაციაში არსებული მდგომარეობის და პრაქტიკის შესაბამისად განტის ცხრილის (Gant Chart) ინტეგრირება წლიური ანგარიშგების ციკლში. ტექნიკური მხარდაჭერა მოიცავს როგორც განტის ცხრილების შემუშავებას, ისე არსებულის გადახედვას და გაუმჯობესებას N629 დადგენილების შესაბამისად.

**__ფაზა I__: მოსამზადებელი ფაზა:** კავკასიის ბუნების ფონდთან (CNF), დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან (APA) და დაცული ლანდშაფტების ადმინისტრაციებთან მჭიდრო კოორდინაციით, უნდა განახორციელოს თითოეული დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის საჭიროებების შეფასება, არსებული GANT Chart-ის N629 დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანა. შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს დეტალური პროგრამა და შესასრულებელი სამუშაოს გეგმა-გრაფიკი. ასევე, უნდა მოგვაწოდოს ინფორმაცია, თუ რა საკითხები დაიფარება ინდივიდუალურ ადმინისტრაციებში ფიზიკური ტრეინინგების დროს და წარმოგვიდგინოს სწავლების მონაწილე პირთა სია.

__მისაღები შედეგი/დავალება I:__ მოსამზადებელი ფაზის ანგარიში, რომელიც მოიცავს შეთანხმებულ პროგრამას, დეტალურ გეგმა-გრაფიკს და განხორციელების კალენდარს. ასევე, აღწერს საწყისი ფაზის დროს კონსულტაციების პროცესს და მოიცავს იმ მონაწილეთა სიას, ვისთან ერთადაც გაიმართა სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები.

**__ფაზა II__: განხორციელება:** აღნიშნულ ფაზაში, შეთანხმებული პროგრამისა და გეგმა-გრაფიკის მიხედვით კავკასიის ბუნების ფონდთან (CNF), დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან (APA) და დაცული ლანდშაფტების ადმინისტრაციებთან კოორდინაციით უნდა განხორციელდეს ვიზიტები და სწავლებები სამიზნე დაცულ ტერიტორიებზე. ამავე ფაზაში, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან და დაცული ლანდშაფტების ადმინისტრაციებთან ერთად უნდა განისაზღვროს შეფასების სისტემაზე (GANT Chart) პასუხისმგებელი პირები ტერიტორიული ადმინისტრაციების მიხედვით.

__მისაღები შედეგი/დავალება II:__ შუალედური ანგარიში, სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია ადგილზე განხორციელებული ვიზიტებისა და სწავლების შესახებ; განახლებული და შემუშავებული განტის ცხრილები თითეული ტერიტორიული ადმინისტრაციისათვის, მონაწილე პირთა სია შეფასების სისტემაზე პასუხისმგებელი პირების მითითებით; ფოტო და სხვა დამხმარე მასალა.

**__ფაზა III__ შემდგომი ტექნიკური მხარდაჭერა:** შემსრულებელი ინდივიდუალური სწავლების შემდგომ გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით აგრძელებს ტერიტორიული ადმინისტრაციების რეგულარულ და უწყვეტ მხარდაჭერას. ამავე ფაზაში, შემსრულებელი უზრუნველყოფს ადმინისტრაციების მენეჯმენტის გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესის მხარდაჭერას და შედეგების ინტეგრირებას ადმინისტრაციების 2024 წლის ანგარიშებში.

__მისაღები შედეგი/დავალება III:__ ტექნიკური დახმარების საბოლოო ნარატიული ანგარიში, სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია სამიზნე დაცულ ტერიტორიებში დანერგილი და მოქმედი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის (განტის ცხრილის) შესახებ. ასევე, ასახული იქნება ინფორმაცია პროგრესისა და სამომავლო რეკომენდაციების შესახებ. თითოეული ადმინისტრაციისათვის,

ადმინისტრაციის თანამშრომლებთან კოორდინაციით, განტ ცხრილების განახლებისა და შევსების სიხშირის განსაზღვრა პასუხისმგებელი პირის მითითებით.

<u>პროექტის ხანგრძლივობა და ბიუჯეტი</u>

| აქტივობა და შესასრულებელი სამუშაო | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თვე | აგვ. | სექტ. | ოქტ. | ნოემ. | დეკ. | იან. | თებ. | მარ. | აპრ. | მაი. |
| მოსამზადებელი ფაზა და შესაბამისი ფაზის ანგარიში | | | | | | | | | | |
| არსებული GANT Chart-ის N629 დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანა, გაიდლაინის ჩათვლით | | | | | | | | | | |
| სწავლების ჩატარება ტერიტორიულ ადმინისტრაციებში | | | | | | | | | | |
| შუალედური ანგარიში | | | | | | | | | | |
| რეგულარული ტექნიკური მხარდაჭერა გამოვლენილი საჭიროებებს მიხედვით. | | | | | | | | | | |
| მენეჯმენტის გეგმის შესრულების ანგარიში 2024 | | | | | | | | | | |
| საბოლოო ანგარიში | | | | | | | | | | |

<u>საკვალიფიკაციო მოთხოვნები:</u>

- ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა ღიაა როგორც ფიზიკური პირებისთვის და  ფიზიკურ პირთა გაერთიანებებისათვის, ასევე არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებისათვის.
- ყველა მონაწილე პირს/ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს დაცული ტერიტორიების სფეროში პროექტების განხორციელების არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება.
- ყველა მონაწილე პირი/ორგანიზაცია უნდა იცნობდეს დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის შემუშავების სახელმძღვანელოს (https://matsne.gov.ge/document/view/2272614?publication=0)
- ყველა მონაწილე პირს/ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს დაცული ტერიტორიების მართვის გეგმების შემუშავების გამოცდილება.
- ყველა მონაწილე პირს/ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს გამოცდილება დაცული ტერიტორიების მართვის გეგმის მონიტორინგსა და შეფასებაში.
- ყველა მონაწილე პირს/ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს გამოცდილება მონიტორინგისა და შეფასების ე.წ. განტის ცხრილში (Gant Chart) მუშაობის გამოცდილება.

- დამატებითი პრიორიტეტი მიენიჭება დაცული ტერიტორიების მართვის გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სტანდარტიზებული მეთოდის - ე.წ. განტის ცხრილში (Gant Chart) მუშაობის გამოცდილებას *(დანართი 1. სახელმძღვანელო დოკუმენტი).*

**დამატებითი ინფორმაცია:**

- ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იქნეს ექსელის ფორმატში და დეტალურად უნდა მოიცავდეს სამივლინებო ხარჯებს, მგზავრობის და დღიური ანაზღაურების ჩათვლით.
- ბიუჯეტში ცალკე მუხლად უნდა იყოს გამოყოფილი III ფაზის ბიუჯეტი, დღიური ანაზღაურების მითითებით, რომლის ანგარიშსწორება მოხდება განხორციელებული აქტივობების შესახებ მოკლე ნარატიული ანგარიშის და შესაბამისი ,,თაიმშიტის'' საფუძველზე.
- მესამე ფაზის ფარგლებში წარმოქმნილი ადგილზე ვიზიტების საჭიროების შემთხვევაში კავკასიის ბუნების ფონდი (CNF) დამატებით აანაზღაურებს ხარჯებს წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინვოისის საფუძველზე.

**განაცხადის წარდგენის წესი**

აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- მოკლე სამოტივაციო წერილი;
- დეტალური CV იმ ექსპერტებისა, რომლებიც პროგრამის განხორციელებაში იქნებიან ჩართულები, იმის მითითებით თუ თითოეულ მათგანს რა კონკრეტული როლი და ფუნქცია ექნება სამუშაო პროცესში;
- დეტალური ბიუჯეტი;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ორი რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაცია და მსგავსი პროექტების განხორციელების ჩამონათვალი.

განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა *2024 წლის 20 აგვისტო.*

განაცხადის პაკეტი უნდა გაიგზავნოს მისამართზე recruiting@caucasus-naturefund.org სათაურის ველში შემდეგი მითითებით – „მართვის გეგმის მონიტორინგის და შეფასების სტანდარტიზაცია (Gant Chart)“.